F567 ✓ 3288

იდიდე მარად ჩემო, სამშობლოვ!

საბჭოთა საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 7 (144)

აპრილი,

1966 წელი



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ნახატი სსრკ სახალხო მხატვრის ნ. უჟკოვისა.

ლენინი საქართველოში

გიორგი ლეონიძე,

საქართველოს სახალხო პოეტი.

პაპუკი ვინმე მასწავლებელი,
შთაგონებული შავი თვალებით,
დაბინდებისას აღებს კარადას,
ფიქრში წასული, ფერნამკრთალევი.
ის ლენინის ტომს ჩუმად აფურცლავს,
თითქოს სურნელ ბაღს ესაუბრება:
— აი, გამხსნელი ხალხის ბედისა,
მან დაგვიმკვიდრა თავისუფლება!
გული დაჰქონდა მილიონებთან,
ვიტყვი: მზესავით იგი ჩვენია!
მაგრამ ლენინზე ერთი რამ სევდა.
ერთი რამ ხინჯი გულს ჩამრჩენია!

არასდროს თურმე საქართველოში
არა ყოფილა სტუმრად ლენინი!
გინდაც ერთი დღით,
გინდაც შემთხვევით,
უცბად გზაგავლით ჩამოფრენილი...
ეჰეი, მართლაც რა საწყენია,
ჩვენში ლენინი თუ არ ყოფილა!
არცა გვყავს სოფლად კაცი დროული,
მისი აქ ყოფნა აამბობინა.

არც ჩვენი პური გაუტეხია!
არც სიმღერები ჩვენი სმენია;
ის ჩვენს ხეებს ქვეშ არ ჩამომჯდარა...
ჩვენთან არასდროს დაუსვენია!
— მერე ვინ გითხრა, ვინ დაგიჯერებს,
არ ყოფილაო ჩვენში ლენინი! —
მოხუცი კახა —სკოლის დარაჯი
ეტყვის პირწყრომით ალ-ადენილი.

— მე შევესწარი! მე ვარ დამხდური!
მე მინახია... ჩვენში ყოფილა!
განა ის ყველას ქოხში არ იყო,
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?
ის მეც მიცნობდა, მას გეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით
ხელი საშველად გამომიწოდა!
ოცნებობს ჩუმად მასწავლებელი:
— იქნებ იყო და მართლაც არ ვიცი...
ნეტავ შენ იყო, კახავ, მართალი... —
აფურცლავს წიგნს და ოცნებით იწვის...
თითქოს ლენინის სიტყვას კი არა,
ბაღს აყვავებულს ესაუბრება:
— აი, გამხსნელი ხალხის ბედისა,
მან დაგვიმკვიდრა თავისუფლება...

აზრის უკვდავება

ლენინის უკვდავი იდეები ძლევამოსილად მიაბიჯებს პლანეტაზე, იპყრობს მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს. ლენინი ხომ სიცოცხლესავით მარადისია. მისი სახელი ბრძოლებისა და გამარჯვებების დროშა გახდა. ეს უკვდავი სახელი შუქს ფენს არა მარტო გმირულ რევოლუციურ წარსულს, არამედ მსოფლიო საზოგადოებრივი პროგრესის დღევანდელ სვლას, ჩვენს კომუნისტურ მომავალს.

22 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 96-ე წლისთავს.

სცენაზეა ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი. კაშკაშებს ციფრი „96“.

ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ **ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია,** აგრეთვე ძველი ლენინური გვარდიის წარმომადგენლები, წარმოების ნოვატორები, თვალსაჩინო მეცნიერები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაურთა შემადგენლობის წარმომადგენლები.

საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ი. ლოლაშვილმა.**

დარბაზში დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

სიტყვა მოხსენებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს **პ. ა. როდიონოვს.**

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება დიდი ლენინის, იმ სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხალხმა განვლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ეპოქის — გენიალური ბელადის იდეების განხორციელების ეპოქის სიდიადის შესახებ.

შეკრებილთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში პ. ა. როდიონოვმა გამარჯვება უსურვა ლენინიზმის დიად და უძლეველ მოძღვრებას, ლენინის საქმეს.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.


ორგიტაზეა მთვარის ხელოვნური თანამგზავრი

მსოფლიოში პირველი

1966 წლის 3 აპრილს 21 საათსა და 44 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ლუნა-10“ გაყვანილ იქნა სელენოცენტრულ (მთვარისახლო) ორბიტაზე და მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გახდა.

სადგურის სელენოცენტრულ ორბიტაზე გაყვანა უზრუნველყო ამა წლის 1 აპრილს სადგურის ფრენის ტრაექტორიის წარმატებით განხორციელებულმა კორექციამ და ზუსტმა მანევრმა მთვარესთან მიახლოების დროს, რაც დედამიწიდან მიცემული კომანდით განხორციელდა.

მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის პარამეტრებია:



ნახ. № 1

— მთვარის ზედაპირიდან მინიმალური დაშორება (პერისელენი) — დაახლოებით 350 კილომეტრი;

—მთვარის ზედაპირიდან მაქსიმალური დაშორება (აპოსელენი) — დაახლოებით 1.000 კილომეტრი;

— მთვარის გარშემო სადგურის მიმოქცევის პერიოდი — დაახლოებით 3 საათი.

მთვარის პირველ ხელოვნურ თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო ხელსაწყოები მთვარისახლო კოსმოსური სივრცის კვლევისათვის.

ტელემეტრიული სისტემები დედამიწაზე გადმოსცემენ მეცნიერულ გაზომვათა მონაცემებს.

მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ფრენაზე დაკვირვებას და მის ორბიტის პარამეტრების გაზომვას აწარმოებს შორეული კოსმოსური რადიოკავშირის ცენტრი.

პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაყვანა მთვარის გარშემო ორბიტაზე საბჭოთა მეცნიერების, ინჟინრებისა და მუშების ახალი დიდი გამარჯვებაა. ჩვენმა ქვეყანამ, რომელმაც 1957 წელს შექმნა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ახლა მთვარის გარშემო ორბიტაზე გაიყვანა პირველი ხელოვნური თანამგზავრი, რაც დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მთვარის კვლევაში.

22 აპრილის ცნობით

პირველი მთვარის ხელოვნური თანამგზავრი, ავტომატური სადგური „ლუნა-10“ განაგრძობს მთვარისახლო სივრცისა და მთვარის კვლევის დასახული პროგრამის შესრულებას.

22 აპრილს 11 საათსა და 20 წუთზე თანამგზავრმა 150-ჯერ შემოუარა მთვარეს, გაიარა ორ მილიონზე მეტი კილომეტრი, თანამგზავრთან მოეწყო რადიოკავშირის 83 სეანსი, რის დროსაც განხორციელდა ტრაექტორული გაზომვები და მიღებულია სამეცნიერო ინფორმაცია.

მთვარის თანამგზავრთან მყარი კავშირია. ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავებამ ცხადყო, რომ თანამგზავრის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. ხელსაწყოთა ნაკვეთურში წნევა და ტემპერატურა დასახულ ფარგლებშია.


გრძელდება თანამგზავრიდან მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავება.

◆

ნახ. № 1. „ლუნა-10“-ის ფრენის სქემა: 1) შუალედური დედამიწისახლო ორბიტა; 2). მთვარისაკენ გაფრენის ტრაექტორიის კორექცია; 3). „ლუნა-10“-ის ორიენტაცია დამუხრუჭებისას; 4). დამუხრუჭება და მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გასვლა.

ნახ. № 2. თანამგზავრის გასვლა ორბიტაზე: 1). ფრენის ტრაექტორია; 2). სამუხრუჭე ძრავის ჩართვის წერტილი; 3) ორბიტის პერისელენი; 4). ორბიტის აპოსელენი.

◆



ნახ. № 2

გმირის გმირი ქალიშვილი

„ადამიანმა ყოველთვის სამშობლოს უნდა მისცეს თავის შესაძლებლობათა მაქსიმუმი, თუკი საჭირო იქნება, სიცოცხლეც. სიძნელეებმა არ უნდა შეაშინოს იგი. უნდა ფრინავდეს ფრინველივით, არ ეშინოდეს არაფრის — აი ჩემი ცხოვრების იდეალი“. მამის უბის წიგნაკში ჩაწერილი ეს სიტყვები ცხოვრების კომპასი გახდა ვინაირი სხულუხიასათვის—ზუგდიდი რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის წევრისათვის. ეს სტრიქონები რამდენჯერ დახმარებია მას უძნელეს წუთებში. ვინაირი დაიბადა საბჭოთა ხალხისათვის მძიმე დროში, როდესაც მისი მამა დიდი სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა.

ჯერ კიდევ პატარა იყო ვინაირი, როდესაც დედამ წაუკითხა მწერალ პ. პაველჩკოს საფრონტო ნარკვევი მამამისზე.

...ეს ყირიმში მოხდა. კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გრიგოლ სხულუხია, რომელიც მოხალისედ წავიდა, ფრონტზე, ნაწილის საუკეთეო მზვერავი გახდა. ერთხელ, მძიმედ დაჭრილი, იგი ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა. მას ზურგზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამოკვეთეს, ორივე ხელი გადაუმტვრიეს, მაგრამ გერმანელებმა მისგან ვერაფერი შეიტყვეს. შემდეგ კი იგი კოცონზე დასწვეს. გრიგოლი „მოკვდა, თითქოს ციდან დაბლა დაეცა, როგორც ფრინველი კვდება ფრენის დროს. ...სხულუხია ჰგავდა ბრძოლაში დამწვარ დროშას, რომლისგანაც გადარჩენილიყო მარტო ემბლემა — ვარსკვლავი, წმინდა ფოლადისაგან ჩამოსხმული“.

ეს ეპიზოდი ღრმად ჩარჩა გულში გოგონას. მან მტკიცედ გადაწყვიტა ყველაფერში დამსგავსებოდა მამას. მასში თანდათანობით ვითარდებოდა მამის სიმტკიცე და შეუპოვრობა, სიყვარული მშობლიური მიწისადმი. იგი ფრიადზე სწავლობდა სკოლაში და დამთავრა თუ არა, გადაწყვიტა მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩენილიყო. ვინაირი ჩარიცხეს მეჩაიეთა ბრიგადაში, რომელსაც დედამისი ხელმძღვანელობდა. ცოტა სიძნელე როდი შეხვდა წინ.

დღეები დღეებს ცვლიდა. იგი თანდათან ეუფლებოდა ჩაის კრეფის ოსტატობას. მუშაობის პირველი წლის ბოლოს კი, თვითონაც რომ არ ელოდა, ვინაირიმ ჩაის რეკორდული მოსავალი მოიწია — 6 ათასი კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა. მას შემდეგ წლითიწლობით ეს ციფრი იზრდებოდა. შარშან შრომითი წარმატება ციფრობრივად ასე გამოიხატა — 8.300 კილოგრამი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფელ რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს ვინაირი გრიგოლის ასულ სხულუხიას **სოციალისტური შრომის გმირის წოდება** მიენიჭა.

...სოფელ რუხში აღმართულა გრიგოლ სხულუხიას ძეგლი. საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი, რომელიც მის მკერდზე ბრწყინავს, თითქოს ახალგაზრდა თაობას მოუწოდებს ემსახურონ სამშობლოს ისე, როგორც გრიგოლ სხულუხია ემსახურებოდა.

— ესტაფეტა საიმედო ხელშია! — თითქოს უპასუხებს ამ მოწოდებას სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი, რომელიც გმირის ქალიშვილის მკერდზე აკიაფდა.

ნ. ქორქია.

სოფლის ახალი ცხოვრება

ფულუკიძე. დიდი და ლამაზი სოფელია მათხოჯი. საკოლმეურნეო ცხოვრებამ აიყვავა იგი. ვიწრო ორღობების ნაცვლად ახლა სოფელს ამშვენებს ფართო და ნათელი გზები. გზების ორივე მხარეს ოდასახლებში ელექტროშუქი კაშკაშებს. საკარმიდამო ნაკვეთები ვენახის ტალავრებს დაუმშვენებია.

საკოლმეურნეო მინდვრებში გაშენებული ჩაის პლანტაციები კოლმეურნეობის შემოსავლის წყაროა. მარტო მეჩაიეობიდან შარშან კოლმეურნეობამ 130 ათას მანეთზე მეტი მიიღო. შარშან სოფელში 24 კოლმეურნემ აიშენა ახალი ოდა-სახლი. 12 კოლმეურნე ახლა იშენებს საცხოვრებელ სახლებს.

სოფლის მშრომელთა სამსახურშია საავადმყოფო, საექიმო უბანი, აფთიაქი, საშუალო სკოლა, სასადილო, მაღაზია, პურის საცხობი, ორი ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი და სხვ.

ხუთწლედში კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი გახდება სოფელი. აქ აიგება საბავშვო ბაღი, აბანო, გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი, მოეწყობა სასპორტო მოედანი.

სერგო ზაქარიაძე ლენინური პრემიის ლაურეატია

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის ცნობა ხელოვნების დარგში ყველაზე თვალსაჩინო მიღწევებისათვის 1966 წლის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

ლენინური პრემია მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტს სერგო ზაქარიაძეს. ქართველმა მსახიობმა ეს მაღალი ჯილდო მიიღო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებში „ჯარისკაცის მამა“ (რეჟისორი რ. ჩხეიძე, სცენარის ავტორი ს. ჟღენტი) მთავარი გმირის — გიორგი მახარაშვილის როლის შესრულებისათვის.

სურათზე: კადრი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“.



პატივცემულო თანამემამულევ!

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ სარედაქციო კოლეგიის სახელზე გამოგზავნილი თქვენი ბარათი მივიღეთ. მადლობას მოგახსენებთ ასეთი ვრცელი და საინტერესო წერილისათვის. სასიამოვნოა, რომ დიდი ხნის განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილმა, მრავალ ჭირვარამ გადატანილმა კაცმა, ასე წმიდად შეინახეთ ეროვნული სიამაყის გრძნობა, გულწრფელად გახარებთ ჩვენი რესპუბლიკის ყოველი წარმატება და სურვილი გაქვთ შეძლებისდაგვარად შეიტანოთ თქვენი წვლილი მისი კიდევ უფრო გაძლიერებისა და აყვავების საქმეში.

საინტერესოა თქვენი შთაბეჭდილებანი ფ. ლომაშვილის წიგნზე „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“. ჩვენ ამ წიგნზე მრავალი გამოხმაურება მივიღეთ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისაგან, რამაც კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა იმ საკითხების გაშუქებაში, რაზედაც ახალგაზრდა მეცნიერმა საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია. მართალია, ფ. ლომაშვილი არასოდეს არ ყოფილა ემიგრაციაში (როგორც ეს თქვენ გგონიათ), მაგრამ იგი წლების განმავლობაში სწავლობდა არქივებში დაცულ დოკუმენტებს და თავისი ბროშურა მთლიანად ფაქტიურ მასალებზე ააგო. თქვენი და უცხოეთში მცხოვრებ სხვა თანამემამულეთა წინადადებანი და შენიშვნები მხოლოდ დაეხმარება ამ წიგნის ავტორს მომავალ მუშაობაში, რისთვისაც როგორც ავტორი, ისე სარედაქციო კოლეგია დიდ მადლობას მოგახსენებენ.

რაც შეეხება მონოგრაფიას, რომელიც კომპოზიტორ ერეკლე ჭაბადარზე დაიწერა (ქართული მუსიკის მოყვარულთათვის ის ხომ ნამდვილად სასიამოვნო აღმოჩენა იყო), მეტყველებს სამშობლოს განუსაზღვრელ სიყვარულზე და დიდსულოვნობაზე თავისი კარგი შვილების მიმართ, სადაც უნდა იყონ ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე ჭაბადარმა სამშობლოს წრფელი სიყვარულით ანთებული გული უცხოობაში ჩაფერფლა, დღეს ჩვენთვის ნათელია მისი დაუცხრომელი ძიება და შრომა ქართული კულტურის განვითარებისათვის და სამშობლოც ამიტომ აფასებს მას. ძალზე მოგვიანებით შემოაღო კომპოზიტორმა სამშობლოს კარი, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ მტკიცედ დაიკავა თავისი ადგილი გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთა შორის. საქართველოს საზოგადოებრიობა მადლობელია იმ ადამიანებისა, რომელთა წყალობითაც ერეკლე ჭაბადარის ნიჭისა და შრომის კეთილი ნაყოფმედარი სამშობლოს კუთვნილება გახდა.

თქვენ კი რატომღაც ეჭვს გამოთქვამთ, რომ თქვენი ნაწერი დღის სინათლეს ვერ იხილავს, რომ არ დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში. რატომ გგონიათ ასე? ცხადია, თქვენს წერილს გარკვეული შესწორება დასჭირდა ლიტერატურულ-გრამატიკული თვალსაზრისით, ისიც ცხადია, რომ ზოგიერთ საგანსა თუ მოვლენაზე ჩვენ სრულიად სხვადასხვა შეხედულება გვაქვს, რაც იმით არის გამოწვეული, რომ თითქმის ორმოცი წელია მოწყვეტილი ხართ საქართველოს და არასრული წარმოდგენა გაქვთ ჩვენს დღევანდელ ყოფაზე; მაგრამ როგორც ხედავთ, ამან ოდნავადაც არ შეგვიშალა ხელი გამოგვექვეყნებინა თქვენი წერილი, რადგან ვფიქრობთ, რომ თქვენს მიერ აღძრული საკითხები დაინტერესებს ჩვენს მკითხველს და ზოგიერთი ალბათ თავის აზრსაც მოგვწერს.

ღია ბარათი დ. მახარაშვილს

ცხადია, დღევანდელი საქართველოს გაცნობის უყველაზე უკეთესი საშუალება მისი საკუთარი თვალით ნახვა გქნებოდა, ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „გაგონილს ნანახი სჯობიანო“. ჯერჯერობით საქმე სწორედ ამგვარად მიდის: რაც დრო გადის, მით უფრო მეტი თანამემამულე ჩამოდის სტუმრად საქართველოში და ჩვენ მათ შორის არც ერთს ისეთს არ ვიცნობთ, ვინც აღფრთოვანებული არ დარჩენილიყოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში ჩვენი წარმატებებით.

თქვენ კი რატომღაც გული გაგტეხიათ, იმედი აღარ გაქვთ, რომ კვლავ იხილავთ საყვარელ სამშობლოს. რატომ? იმაზე ლაპარაკი, რომ სტუმრად ჩამოსვლის შემთხვევაში თქვენ აქ რაიმე საშიშროება გელოდებოდეთ, ზედმეტადაც კი მიგვაჩნია. რაც შეეხება თქვენთვის საყვარელ ადგილთა, ნათესავთა და ნაცნობთა მონახულებას, შეგიძლიათ ნახოთ ყველაფერი, რაც გაინტერესებთ, შეხვდეთ და ესაუბროთ ყველას, ვისთანაც ამის სურვილი გექნებათ.

ბრძენს უთქვამს: „არის საგნები, რომლებიც, თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ; არის საგნები, რომლებიც, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ამით ომის თქმა გვსურს, რომ ცუდად აკვიატებული წინასწარი წარმოდგენების უქონლად მოსული ყოველი კაცი სასურველი და სასიხარულო სტუმარია ჩვენთვის. თქვენც სასურველ სტუმრათა შორის გიგულებთ. მობრძანდით საყვარელ სამშობლოში და საკუთარი თვალით იხილეთ ყოველივე.

თქვენ ჩამოსვლამდე კი დაე ჩვენი კორესპონდენტის ნაამბობმა ერთხელ კიდევ გაგახსენოთ საყვარელი მამულ-დედული.

კეთილი სურვილებით

გაზეთ „სამშობლოს ხმის“
სარედაქციო კოლეგია.

მე ჩემს ვწყევ...

მივიღე „სამშობლოს ხმის“ უკანასკნელი მეცამეტე ნომერი. კარგა ხანია მინდოდა მადლობის გადახდა ასეთი დიდი საჩუქრისა და სიხარულისათვის. მიხარია, როცა ვკითხულობ საქართველოდან მოსულ გაზეთებს. ჩვენი სამშობლოს აღორძინება ყველა პატრიოსან ქართველს გაუხარდება, გაუხარდება, ასეთი სიჩქარით რომ შენდება ახალ-ახალი ქუჩები და ქალაქები. მკვდრეთით აღმდგარი საქართველო დღეს წელში იშლება, იზრდება, ლამაზდება და ღონიერდება. როცა ქართველი ნამდვილ ბედნიერებას ეწევა, მაშინ ბუნებრივად იჩენს თავს მისი ნიჭი და ადამიანური გრძნობები, ვითარდება ძმობა-მეგობრობა, ერთურთის გატანა, სიყვარული.

როცა ბუნებრივი, ადამიანური გრძნობები იზრდება, ეს ნიშნავს, რომ ერიც იზრდება. რა ვუყოთ, მე თუ ვერ ვეღირსები სამშობლოს ახალი ქუჩების, თანამემამულეთა გაღიმებული სახეების ნახვას (ამიტომაც ვმღერი ხშირად „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“). მაგრამ მარტო მე არა ვარ ასეთი უბედური საზღვარგარეთ. თუმცა აბა ვისა აქვს ახლა ამისი გამოკვლევის საშუალება? რასაკვირველია, სამშობლომაც კარგად იცის ზოგიერთი საზღვარგარეთელი თანამემამულის უბედობაც, გაუგებლობაც და შეცდომაც. ამიტომაც აინტერესებს ჩვენი ბედი.

თუკი ამდენ ხანს „სამშობლოს ხმა“ თავისას ყველაფერს მეუბნება, მეც ჩემსას ვეტყვი, რომ საფლავში არ ჩავიტანო, რაც სამართლედ მიმაჩნია, რასაც ორმოცი წელიწადია გულით ვატარებ. მე არ მინდა შევეხო ყველა ქართველ ემიგრანტს, ვილაპარაკებ მხოლოდ საკუთარ თავზე, რამაც შეიძლება მკითხველი დააინტერესოს.

დავიბადე სოფელ ჭობისხევში, ბორჯომის რაიონში. მამაჩემს რვა შვილი ჰყავდა — შვიდი ბიჭი და ერთი გოგო. როცა საქართველოში კომუნისტები შემოვიდნენ, ათი წლისა ვიქნებოდი. მე შუათანა ვიყავი. უფროსი ძმა გიგო ოჯახში ეხმარებოდა მამას. მისი მომდევნო — დათიკო 1927 წელს გარდაიცვალა. ჩემზე უფროსი ძმა შალიკო ბორჯომში სწავლობდა, მე და პატარა ძმები კი ცხვარს ვუვლიდით. მერე მეც დავიწყე ბორჯომში სასწავლებლად სიარული, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ დღეს სკოლაში აღარ მიმიღეს. სოფელში ამოსულს მეზობლის ბავშვებმა „მომახარეს“ — მალე თქვენი ცხვარი მთლიანად ჩვენ დაგვრჩებაო, თურმე გულბოროტად დავუბეზღებივართ, კულაკები და ხალხის მტრები არიანო.

სწავლას თავი დავანებე და უფროს ძმას მივეხმარე ოჯახში, ზაფხულობით ბაკურიანის მთებში წიფლის ხეებს ვჭრიდით, ზამთრობით ჩარხის წყლით ბორჯომში ჩამოგვქონდა და ახლად აშენებულ კასრების ქარხანაში ვყიდდით. 1929 წლის დეკემბრის ბოლოს მე და გიგო ჩვენივე მეზობლებმა დავგვიჭირეს, ბორჯომში ჩაგვიყვანეს და სარდაფში ჩაგვკეტეს. სამი კვირის შემდეგ გაგვათავისუფლეს. შინ დავბრუნდით, ცარიელი კედლები დაგვხვდა. საქონელი მეზობლებს დაეტაცნათ და მშობლები სოფლიდან გაესახლებინათ. მაშინ ოცი წლისა ვიყავი, კარგად ვიცოდი, ვინ დაანგრია მამაჩემის ოჯახი, კიდეც ვუპირებდი სამაგიეროს გადახდას, სწორედ ამიტომ გავიპარე ოსმალეთში — იქ დროებით თავის შეფარება მინდოდა. მერე ისევ მობრუნება და ზოგიერთ ბოროტ მეზობელთან ანგარიშის გასწორება მჭონდა ჯადაწყვეტილი.

განზრახული სისრულეში ვერ მოვიყვანე. მაგრამ ცოტა მოგვიანებით ჩემს მაგიერ თვითონ საბჭოთა მთავრობამ დასჯა ის უღირსი მეზობლები სიცრუისა და მავნებლობისათვის. რაც გაუნათლებელმა, ბოროტმა ხალხმა დააშავა, მთავრობამ გამოასწორა ბოლოს. მე კი უცხოეთს შევრჩი. აქ შევხვდი შორეულ მეზობლებს და მათგან გავიგე ჩემი ოჯახის ყველა ამბავი: ძმები კოლმეურნეობაში შესულან, გიგო სარქლად დაუნიშნავთ, კარგი მუშაობისათვის ორჯერ მიუღია ლენინის ორდენი. როგორც მოწინავე რამდენჯერმე მოსკოვშიც ყოფილა გამოფენაზე; ანტონი ექიმი გამხდარა, გრიშა— მებაღეობის ბრიგადის ბრიგადირი. ჩემი ძმები საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, მშრომელი ადამიანები არიან. როგორც გავიგე, კარგად ცხოვრობენ და ამაში ეჭვი აღარ მეპარება.

მიხარია, რომ ჩემს სამშობლოში ხალხი ახლა მდიდრულად და ბედნიერად ცხოვრობს, ეს იმედს მაძლევს, რომ ჩვენი ერი კიდევ უფრო გაიზრდება და გაძლიერდება.

როცა თქვენს გაზეთში ბორჯომის სურათი ვნახე, კინაღამ წავიქეცი სიხარულით. ორმოცი წელი უკვალოდ როდი გაფრენილა. ვიცანი ის ხიდი, სადაც ხშირად გამივლია, მომაგონდა მთელი ჩემი ცხოვრება, ბაკურიანის მთები, ველ-მინდვრები. მაშინ ხშირად მშიერი და შიშველ-ტიტველი ვიყავი, მაგრამ ბევრად უფრო ბედნიერი, ვიდრე დღეს.

როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ეს წერილი მაშინ დავწერე, როცა თქვენი გაზეთის მეცამეტე ნომერი მივიღე. მაგრამ მაშინვე არ გამოვაგზავნე, იმიტომ, რომ მომხდარ ამბებში ჯერ კიდევ ხეირიანად ვერ გავრკვეულიყავი და რჩევაც ვერავისთვის მეკითხნა. ათასგვარ კითხვებს ვუსვამდი საკუთარ თავს და თვითონვე ვცდილობდი პასუხის გაცემას. თავდაპირველად, უბრალოდ მადლობის გადახდა მინდოდა იმ კეთილშობილი ადამიანებისათვის, რომლებიც ამ გაზეთს მიგზავნიან. ვიფიქრე ჩემი ორმოცი წლის წინანდელი ისტორია არავის დააინტერესებს-მეთქი, მაგრამ როცა თქვენს გაზეთებს ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი, საწინააღმდეგო ამბავში დავრწმუნდი. ესეც ვიფიქრე, რომ ჩემი ნაამბობი ახალგაზრდობას მაგალითად გამოადგებოდა და თვითონ აღარ დაუშვებდნენ მსგავს შეცდომას.

ჩემი სული ორად გაიყო, ჩემში ორი სხვადასხვა კაცი იჯდა და ეკამათებოდა ერთიმეორეს.

— ტყუილად ირჯები, დიმიტრი, — ჩამძახოდა ერთი ხმა, — შენი ნაწერი მზის შუქს ვერ იხილავს.

— რატომ? თუ კი მე ვკითხულობ იმათგან გამოგზავნილ წერილებს, ჩემიც წაიკითხონ, განა ეს უფრო სამართლიანი არ იქნება? — უპასუხებდა მეორე.

— რომელ სამართლეზე მელაპარაკები? სამართლიანი რომ ყოფილიყვნენ, მამაშენის ოჯახს არ ააწიოკებდნენ და შენც საზღვარგარეთ არ იხეტიალებდი ამდენი წელიწადი ასე უმიზნოდ.

— ჩვენი ოჯახის დანგრევაში მხოლოდ ჩვენს ზოგიერთ ბოროტ მეზობელს მიუძღვის ბრალი, მერე სამართლიანად რომ დაისაჯნენ თვით მთავრობის მიერ, ამაში დარწმუნებული ვარ.

— მაგით რუსების გულს ვერ მოინადირებ.

— რუსები აქ არაფერ შუაში არიან. ყველაფერში ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი. რამდენჯერ მკვდრეთით აღმდგარა და გაღონიერებულა საქართველო, იმდენჯერ საკუთარ ფეოდალებს, უთავო მეფეებსა და უსულგულო ხელისუფალთ დაუქცევიათ, გაუპარტახებიათ. სიმართლე თუ გინდა, რუსეთმა დიდხანს უყურა ჩვენს სიდუხჭირეს და მერე ძმური ხელი გამოგვიწოდა, სამკვდრეთს გამოგვტაცა, ჩვენი გულისთვის სისხლიც კი გაიღო და საბოლოო განადგურებას გადაგვარჩინა. ის ქართველი, რომელიც ამ ჭეშმარიტებას ვერ ურიგდება, ღირსია უცხოეთში იგლოვოს. ურუსეთოდ საქართველოს გაძლება გაუჭირდა. ხომ სცადეს მენშევიკებმა „დამოუკიდებლად“ ემართათ საქართველო! რაც მათ ორწელიწადნახევარში საქართველოს დღე დამართეს, არც ერთ ურჯულოს ის არ ჩაუდენია. დაჭრილ გლეხებს გზაში კლავდნენ, და დაცინვით ამბობდნენ: „გაიქცა და წაიქცაო“. ჩემი ყურით გამიგონია ეს საქართველოში, მაგრამ არ მჯეროდა, მხოლოდ აქ დავრწმუნდი მათ ავკაცობაში. ამ უცხო ქვეყნებშიც იმავე საზიზღრობას სჩადიოდნენ. რამდენი მკვლელობა მოსმდარა მათი მიზეზით პარიზში და ბერლინში!

დარჩენილი ორიოდე მენშევიკი ძალას ხმარობდა ზოგიერთ ქართველზე, გინდა თუ არა ჩვენი მოკავშირე და ყურმოჭრილი ყმა გახდიო. ომწაგებულ გერმანიას თავი მოაბეზრა მიუხედავად მათმა საქციელმა. მაშინ კორძაია იყო ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე. მამასავით ვუყურებდი. არ ვიცოდი, ნამდვილი იუდა თუ იყო. როცა ჩემს ნაცნობ ორ ქართველს მიუხედავად გაძევება და დასჯა დაუპირეს, მაშინ გავიგე, რა ჯოჯოხეთის მქნელიც ყოფილა. სამი წელიწადი აწვალებდნენ და სდევნიდნენ საწყალ ადამიანებს, ბოლოს თავიანთი მოქმედებისათვის რომ გამართლება მიეცათ, 1951 წელს კორძაიამ დახურული კრება მოიწვია და სხვადასხვა ქვეყნიდან ასამდე ქართველს მოუყარა თავი „მსაჯულებად“.

კრებას ახალგაზრდობიდან არავინ ესწრებოდა, იყვნენ მხოლოდ ძველი ემიგრანტები: კორძაია, ცომაია, დ. ჯაჩნაძე, მ. წერეთელი, ნაკაშიძეები, ალშიბაიები, ვიღაც საქმოსნები და პროფესორები. პირველად მაშინ ვნახე ჩემთვის უცხო ხალხი, რომელთაც საწყალი დემეტრაშვილისა და კუჭუხიძისათვის განაჩენი უნდა გამოეტანათ. კრება ცხრა საათს გაგრძელდა და „სამართალში მიცემულებს“ გასასლება მიუსაჯეს. განაჩენი ჟორდანიასაც შეატყობინეს საფრანგეთში და მანაც ძველი ჩვეულებისამებრ ბეჭედი დაუსვა უკანონო გადაწყვეტილებას. მაშინ იყო, რომ სისხლი თავში ამივარდა, კორძაია მოვნახე და პირდაპირ ვუთხარი: — თუ თქვენ ამ ორ კაცს რამეს დაუშავებთ, სათითოდ გაგწყვეტთ მენშევიკებს-მეთქი.

როცა საქართველოში ვცხოვრობდი, ოცი წლის ახალგაზრდა წყაროსავით სუფთა და უზრუნველი ვიყავი. ახლა რაღა შემრჩა წმინდა? რაც დრო გადის, იმდენად უფრო ვბოროტდები სამშობლოს სიყვარულისაგან. დიახ, სწორედ სიყვარულისაგან, რომელიც კი არ კლებულობს, არამედ თანდათან მატულობს. სიყვარულის ასეთი გრძნობა, მგონი, ყველაზე მეტად ქართველებისთვის არის დამახასიათებელი, რადგან სხვა ეროვნების კაცისაგან ხშირად გამიგონია: სადაც გავძლები, ჩემი სამშობლოც იქ არისო.

ასე ვფიქრობდი, ვბორგავდი და ვბოდავდი კარგა ხნის განმავლობაში. მერე „სამშობლოს ხმის“ მეთხუთმეტე ნომერი მივიღე და ოდნავ დავმშვიდდი. პირველ გვერდზე აკაკის სურათი და ლექსები იყო მოთავსებული. ჩემი თავი თითქოს სამშობლოში ვიგრძენი, გაზეთს სიხარულის ცრემლები დავაფრქვიე და დიდ მგოსანს ცოცხალივით დავუწყე საუბარი: — ძვირფასო აკაკი! ხომ ყოფილან ქვეყნად კიდევ ადამიანები, რომელთაც ჩემსავით უყვარხარ! მაშ არ შეიძლება იმათ არ გაიგონ ჩემი, ალალმართალი მშრომელი კაცის გულისტკივილი.

აკაკიმ თითქოს გამიღიმა და მითხრა: — ნუ ღელავ, ნუ დარდობ, ნუ გეშინია, შვილო. მე იმასაც გფიქრობ, რომ შენ საყ-



გრიშა მახარაშვილი



გიგო მახარაშვილი



ანტონ მახარაშვილი

საბჭოთა ხმა

№ 7, აპრილი, 1966 წ.

ვარელი სამშობლოს ნახვასაც ეღირსები. შენი ალალი გული, შენი კეთილშობილი ბუნება თვითონ მიგიყვანს იმ ქვეყანაში, რომელზედაც ამდენი ხანია ოცნებობ.

მერე კვლავ აირია ჩემს თავში ათასი კითხვა-პასუხი. დამნაშავე ვარ თუ არა ჩემი ხალხის წინაშე? დიახ, დამნაშავე ვარ, არ უნდა მიმეტოვებინა სამშობლო, ქურდულად არ უნდა გამოვპარულიყავი. მართალია, ძნელი იყო მშობლებისა და საკუთარი დამცირების ატანა, მაგრამ ამაში ხომ საბჭოთა მთავრობა არ იყო დამნაშავე? ეს ჩვენმა ზოგიერთმა შურიანმა მეზობელმა, ბოროტმა და გაუნათლებელმა ადამიანებმა ჩაიდინეს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

მინდა თუ არა სამშობლოში დაბრუნება? დიახაც მინდა, მაგრამ ვაი რომ გვიან არის. ორმოცი წელი გავიდა, რაც მას მოვშორდი, დავბერდი, დავსნეულდი, დავჩაჩანაკდი, რა არის ჩემი ანდერძი მომავალი თაობისათვის — კეთილი გზით სიარული კომუნიზმისაკენ, რომელიც აუცილებლად გაიმარჯვებს თავისი ბუნებრიობითა და კეთილშობილებით. ლენინმა აკრძალა მკვლელობა, მან დააარსა ნამდვილი სახალხო ხელისუფლება, ხალხს განათლებისა და ბედნიერებისაკენ მოუწოდა. ვინც ამ იდეებს დაიცავს და გაატარებს ცხოვრებაში, გამარჯვებაც მას დარჩება.

უკვე მესამე თვეა, რაც ეს წერილი მზად მაქვს, მაგრამ ჯერაც არ გამომიგზავნია. რა მაბრკოლებს? რატომ არ ვგზავნი? განა ნება არა მაქვს ხმა ამოვიღო და რამე ვილაპარაკო? როგორ არა, მეც ხომ ქართველი ვარ, მეც ხომ მიყვარს ჩემი ერი, მიხარია მისი ბედნიერება! თუ კი საქართველო გვეხმარება და გვაფასებს, მეც გავეხმაურო როგორც შვილი. განა შეიძლება ამდენი ფიქრი! სამი თვე ხეირიანად არ მძინებია, ვაი თუ შეცდომაა ჩემს წერილში- მეთქი, ხანდისხან მთელი ღამე გავა ისე, თვალს არ მოვხუჭავ, ათასგვარი აზრი მიტრიალებს თავში, გამოვფხიზლდები ამ ბურანიდან და ვხედავ, უკვე გათენებულია.

პატივცემულო რედაქციავ! მივიღე თქვენი ყველა გაზეთი და უკანასკნელად ორი პატარა წიგნაკიც: „კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი“ და „ქართული ემიგრაციის ისტორიიდან“, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. მაპატიეთ, თუ ორიოდე სიტყვით ჩემს აზრსაც გამოვთქვამ.

ადრე მენშევიკების ბოროტება გაგებული მქონდა დაახლოებით, მაგრამ არა ისე დაწვრილებით, როგორც ფ. ლომაშვილის წიგნში სწერია. მეორე ომის შემდეგ უფრო გავერკვიე ამ საკითხში. რაც ორიოდე მენშევიკმა მიუნხენში ჩაიდინა, ჩემთვის ნამდვილი გაკვეთილი იყო. ოთხი წლის განმავლობაში იჩხუბეს, ორი წელი სასამართლოში ათრიეს ერთიმეორე დანგრეულ გერმანიაში. მაშინ მე მათი საქციელი ლექსად დავწერე და რადგან უკეთ გავიგე მათი ბოროტმოქმედება, წინააღმდეგობაც გავუწიე ორი უდანაშაულო ქართველის მოსპობაში. როცა მობეზრდათ გერმანელებს ქართველების უნაყოფო ჩხუბი, ორთავე მხარეს ბრალი დასდეს და გააფრთხილეს: ვინც პირველი მოვა სასამართლოს კარებზე, დაპატიმრებული იქნებაო.

არ არსებობს მსოფლიოში ისეთი სახელმწიფო, რომელიც თავისი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის არ იბრძოდეს, მაგრამ ქართველმა მენშევიკებმა თავიანთ ბრძოლაში ბევრი შეცდომა დაუშვეს. დღესაც ვერ მიმხვდარან. კვლავ შეცდომის გზაზე დგას დარჩენილი ორიოდე ემიგრანტი. რა იყო უარყოფითი ჟორდანიასი? მან დიდი შეცდომა დაუშვა თვით საქართველოში. მაგრამ ამ ემიგრაციაში რატომღა განაგრძობდა ზედიზედ შეცდომებს? როცა იცი, რომ ხიდი ქვევიდან მოჭრილია, რატომ გინდა გაიარო და უნაყოფოთ დაიღუპო, უბრალო ადამიანების სისხლიც დაღვარო? ამდენი ტყუილითა და დაპირებით რატომ ხთხოვდა დახმარებას ევროპას ასე უსირცხვილოდ?

მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ჩვენი გულისათვის საკუთარ სისხლს უცხოელი არ გაიღებდა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თვით მკითხველმა დაასკვნას, თუ რამდენად მტკიცე საფუძველი ჰქონდა ჟორდანიას მთავრობის მოქმედებას. თუ ადამიანს ბუნებით ბოროტი არ გაჩნდა, რა საჭირო იყო ამდენი ტყუილი? ისინი არარას წარმოადგენდნენ და რაც შემთხვევის წყალობით ხელში ჩაუვარდათ, სამი წელიწადი ვერ შეინარჩუნეს — თევზივით გაუსხლტათ მორევში. ახლა ისევ აპირებდნენ იმ ოქროს თევზის დაჭერას, რომლისადმი წმინდა სიყვარულის გრძნობა კი არ ამოძრავებდათ, არამედ უბრალოდ შეჭმას უპირებდნენ.

უნდობლობის ძველი ავადმყოფობა კიდევ არსებობს ძველ ემიგრაციაში. აქ კვლავ იგრძნობა განსხვავება ქართველთა შორის, რაც მე საკუთარი თვალით მინახავს. ესენი არიან უკანასკნელი ნაშიერნი ქართველი ფეოდალებისა და უგვირგვინო მეფეებისა, რომელთაც დღესაც არ უნდათ თავი გაგვიყადრონ. აი ასეთი ავადმყოფობა სჭირთ...

როდესაც ადამიანი თავის პირადულ ტკბილ ცხოვრებისათვის სამშობლოს ღალატობს, როდესაც ადამიანთა შორის განსხვავება არსებობს, როცა სპობ შენს სისხლსა და ხორცს, ამით სპობ შენს ერს. ცუდი ის არის, რომ ბევრმა ვერ გამოიტანა დასკვნა ამ გაკვეთილიდან და დღეს კიდევ განაგრძობს შეცდომას. ასეთ ადამიანებს ფასი ეკარგებათ. ჩემთვის მენშევიკიც და ბოლშევიკიც ადამიანია. მაგრამ ბოლშევიკებმა 10 წელიწადი იფიქრეს კოლექტივების ჩამოყალიბებაზე და მერე ისე შეუდგნენ საქმეს, რომ დამარცხების შიში გულშიც არ გაუვლიათ, მენშევიკებს კი ჯერ ფეხიც არ ჰქონდათ კარგად დადგმული, ხალხის აწიოკებას შეუდგნენ, გათამამებული, მკვლელობაზე დაგეშილი პოლიცია გზაში კლავდა გლეხებს, „გაიქცა და წაიქცაო“.

ჯერ ნახევარზე მეტმა გლეხობამ არ იცოდა, ვინ იყო ჟორდანია, ანდა იყო თუ არა „დამოუკიდებელი საქართველო“, რომ პირველ დღიდანვე გამეფდა ბანდიტური ბოროტება. ასე უთავბოლოდ მოიქცა ჟორდანია, მერე ხალხი მიატოვა და ოქროებით პარიზისაკენ მოუსვა. არ გამოქცეულიყო მაინც, ეთქვა, შვილებო, თქვენთან ერთად მოვკვდები ბრძოლაშიო, რომ ყოველივე დანაშაულისათვის ოდნავ მალამო მოეცხო.

აი გადავხედოთ დღევანდელ საქართველოს. 4 მილიონი ქართველი რუსებისათვის ზღვაში წვეთია. რომ მოინდომონ 24 საათის განმავლობაში ავსა და ბოროტს დაატეხდნენ თავს. მაგრამ ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ რუსები ამას თავის დღეში არ იზამენ, რადგან რუს ხალხს ქართველები უყვარს. ამიტომ უნდა დავანებოთ იმაზე ფიქრს თავი, ზოგიერთებს რომ ჰგონიათ — რუსების დამარცხების შემდეგ მთელი ჯამი ჩვენ დაგვრჩებაო, როგორც ჰიტლერი გვპირდებოდა, გულში კი ფიქრობდა არამც თუ კოლონიად გადაექცია, არამედ მთლიანად მოესპო სხვა ქვეყნები და ერები.

იცოდეთ ახალგაზრდებო: ნულარ დაუშვებთ ასეთ შეცდომებს, ნუ დაეყრდნობით სხვის გამოთლილ ჯოხს. აქ ნაკლებად შესტკივათ ჩვენზე გული. როცა დავჭირდებით, გვიხმარებენ „ლაფატკასავით“, როცა აღარ დავჭირდებით, მაშინ სამუშაოსაც აღარ გვაღირსებენ, სიძულვილით გვიყურებენ, გულგრილად გადაგვაგდებენ სანაგვეზე.

როცა ოცი წლისა ვიყავი, ამდენი გამოცდილება რომ მქონოდა, ცხენის კუდზედაც რომ გამოვები, მაინც არ წამოვიდოდი უცხოეთში. ტყუილად კი არ მწერენ ჩემი ძმისწულები, მანდ სიცოცხლეს აქ სიკვდილი გერჩივნოსო.

როცა „ქართული ემიგრაციის“ უკანასკნელი ფურცლები წავიკითხე, მივხვდი, რომ თვით ფ. ლომაშვილი ძველი ემიგრაციიდან უნდა იყოს, ისე დაწვრილებით აქვს ყველაფერი აღწერილი. გამიკვირდა, თუ როგორ მისცეს ამ კაცს სამშობლოში ცხოვრების უფლება, მაშინ როცა მე სულ ტყუილუბრალოდ დავისაჯე. ძალიან ავღელდი, შევედი ჩემს ოთახში და ცოტა

სამშობლომოწყვეტილნი გვწერენ



სურათზე: ანტონის უმცროსი ვაჟიშვილი დიმიტრი მახარაშვილი თავის ამხანაგებთან ერთად სკოლისაკენ მიიჩქარის.

გულმოსული შევეკითხე ჩემს 17 წლის ბიჭს:

— ერთი მითხარი, რას გასწავლიან სკოლაში კომუნისტების შესახებ?

— პოლიტიკაზე არაფერს გვასწავლიან, მამა, — გაკვირვებულმა მიპასუხა.

— მიმალავ?

— არა, მამა, არაფერს გიმალავ.

— მითხარი-მეთქი!

— ბევრს არაფერს გვასწავლიან, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ კომუნისტებმა შეიძლება კიდეც გაასწრონ კეთილშობილებაში კაპიტალისტურ ქვეყნებსო.

მე გავჩერდი. ისევ დიდ ფიქრებში გავები. ერთი უყურეთ, რა მითხრა? რასაც მე უკვე სამი თვე ველაპარაკები საკუთარ თავს, შვილმაც ბეჭედი დაუსვა, მაშ ახლა გავგზავნი ჩემს ძველ ხელნაწერს, ცოტა ახალსაც დავუმატებ.

ბიჭის სიტყვებმა ისე გამახარა, რომ თითქმის შემიჩერდა ტკივილები, რაც ორი წელია საშინლად მაწვალებს. სიკვდილის მონატრულმა სიცოცხლე მოვინდომე. ადრე საქართველოში ჩასვლა მიზნად არა მქონია, ახლა კი ვფიქრობ, ნეტავ იქ გავჩნდე-მეთქი. რა არის დღეს ჩემი სიცოცხლე? სულ არაფერი. როცა ხალხში ხარ, ერთს არ უნდა ქრისტიანულად დაგელაპარაკოს. თუ ვინმემ გაწყენინა, ვისთან იჩივლებ? განა ცოტა გახსოვს ასეთი შემთხვევა საფრანგეთსა და გერმანიაში? ახლა ამერიკაში? მეგონა აქ, როგორც ინტერნაციონალურ ქვეყანაში, მძულვარება არ იქნებამეთქი, მაგრამ ბევრი დაღუპული სწორედ აქ ყოფილა, გრძნობას სულ არ იჩენენ. ამიტომ ვნატრობ ხოლმე: ნეტა უცოლშვილო ვიყო, რამდენს გავბერტყავ-მეთქი.

ერთხელ გაფიცვების დროს ერთი ახალგაზრდა მექსიკელი მომიჩინეს საცემლად. მოვიდა და სრულიად უმიზეზოდ გინება დამიწყო. ხმა რომ არ გავეცი, უცბად გამარტყა და განზე რწყილივით გახტა. ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა და მემუქრებოდა: მოდი რაღა, შე ასეთო და ისეთო, მოდი, რომ ბოლო მოგიღოო. მე ყელში ვეცი მექსიკელს და როცა მისი ტანი მოეშვა, მხოლოდ მაშინ შევუშვი ხელი, კიდევ კარგი ნასვამი არ ვიყავი, თორემ შემომაკვდებოდა კაცი და ცოლშვილის ცოდვას დავიდებდი.

მეორე დღეს პოლიციის უფროსთან გამოვცხადდი, ჩემი ნაცნობი იყო და პირდაპირ მითხრა: ვიცი, რომ შენ უდანაშაულო ხარ, მაგრამ ვერაფრით ვერ დაგეხმარები, რადგან თქვენი მუშები შენს მოწინააღმდეგეს უჭერენ მხარს და თუ ამ ჯარიმას არ გადაიხდი, სასამართლოს გადაეცემა საქმეო. ამის შემდეგ ქარხნის უფროსმა და პატრონის თანაშემწემაც მაგრად დამაჭირეს თითი. პატრონს წერილი მივწერე და დახმარება ვთხოვე. ადრე იგი ორჯერ მყავდა ოჯახში მიპატიჟებული და კარგი პატივიც ვეცი, მაგრამ პასუხად მხოლოდ ეს მომწერა, შენს თავს თვითონ შენვე უშველეო.

რვა წლის განმავლობაში ჩემს მეუღლეს თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მისი ჩხუბისა და თხოვნის შემდეგ ამერიკელი მოქალაქის ქაღალდი ავიღე, მაგრამ ქართული ბუნებისა და ხასიათის გამოცვლა ვერა და ვერ მოვახერხე. ამიტომაც ყველგან მგლებივით მიყურებენ. აბა რა გემო აქვს სამშობლოსაგან მოშორებას?

ასეთი გაჭირვება არც მაშინ მიგრძვნია, როცა საქართველოში ტიტველსა და მშიერს ნადირივით ტყეში მეძინა. სიცოცხლე სიხარულია, მაგრამ საცა ადამიანის დაფასება არ არის, იქ არც სიხარულია და ცხოვრებაც მთლიანად მოწამლულია. ამერიკელებს ბევრად სჯობია ევროპელი ხალხი, რადგან იმათ გაჭირვება მეტი უნახავთ. ესენი კი მთლად უგრძნობი, უსულგულო ადამიანები არიან. მე არა მგონია, საქართველოში მყოფი რომელიმე უცხოელი ისე გაიტანჯოს, როგორც მე აქ ვიტანჯები. პირიქით, იქ პატივს სცემენ ყოველ უცხოელს. როცა საქართველოდან რომელიმე მათგანი თავის სამშობლოში ბრუნდება, სპეციალურად ეძებენ აქ ქართველებს, რომ მოუთხრონ, თუ რა ძვირფასი ხალხია ქართველები, რა გულკეთილი, რა სამეგობრო და პურმარილიანი. მე რომ ჩემს სამშობლოში დავბრუნებულიყავი, სულ დაწვრილებით დავწერდი ამერიკისა და ევროპის ხალხის ამბავს.

ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ თქვენი გული მოვიგო, არამედ იმიტომ, რომ სხვებმა წაიკითხონ და მსგავსი შეცდომა აღარ დაუშვან.

ორმოცი წლისა რომ ვიყო, დავბრუნდებოდი საყვარელ სამშობლოში, მაგრამ ახლა სხვა არის — ზედმეტი ბარგი ვარ, ავადმყოფი, მობერებული.

ვუსურვებ ჩემს საყვარელ სამშობლოს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ხალხთა მეგობრობას, მუდამჟამს გამარჯვებას. თუ თქვენს გახარებას გავიგებ, მეც გავიხარებ და სიცოცხლეს გავიხანგრძლივებ.

დიმიტრი მახარაშვილი,
ამერიკა.



კურორტი გორჯომი, ლიკანის სანატორიუმი.

ასე ცხოვრობენ ახლა ჭობისხევში

ჩვენი რედაქციის დავალებით ამ დღეებში სოფელ ჭობისხევში იყო ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ს. კილაძე, რომლის რეპორტაჟსაც ვთავაზობთ მკითხველებს.



აივანზე ვსხედვართ მახარაშვილების ახალ სახლში, სტიოს რომ გადაჰყურებს.

ბორჯომის ხეობაში გაზაფხულია. ჰობისხევი გაზაფხულს მოურთავს— ხეხილი ყვავის, მთის ფერდობები ამწვანებულა და ნიავს ბაღებისა და გაზაფხულის ყვავილთა ნაზი სურნელი მოაქვს.

ჩვენი თანამოსაუბრენი არიან სოფელ ჭობისხევის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის სამი სახელოვანი მშრომელი — ძმები მახარაშვილები და სოფლის ერთერთი უხუცესი მცხოვრები — 84 წლის რაჟდენ პაპა.

— მოხუცებს კარგად გვახსოვს, როგორ ცხოვრობდნენ ჰობისხეველები მძიმე ძველ დროებაში,— მოგვითხრობს იგი. — ვცხოვრობდით მონებივით, სინათლე ჩვენთვის არ იყო და სიხარული. შვილებს წერაკითხვას ვერ ვასწავლიდით, სკოლაზე ოცნებაც არ შეგვეძლო.

ახლა ახალგაზრდობას არც კი სჯერა, რომ შესაძლებელი იყო ასე მძიმე ცხოვრება. რა იყო ჩვენი საჭმელი? ლობიო და ჭადი. სახლებში კვარი და ნავთის ჭრაქი ბოლავდა. ბოსლებში გვეძინა პირუტყვთან ერთად. უბრალო რკინის საწოლებიც კი არ გაგვაჩნდა.

— მართალს ამბობს რაჟდენ პაპა, — ადასტურებს ანტონ მახარაშვილი. — აი, მაგალითად, მამაჩემს რვა შვილი ჰყავდა და ზამთარში ყველას ერთმანეთთან მიყრილთ გვეძინა ძველის ტახტზე, ბამბის დაკონკილი საბნები გვეხურა. საწოლი ოთახიც ეს იყო და ბოსელიც.

სოფელში მაცხოვრის საყდართან ერთი უბადრუკი დუქანი იყო, სადაც ყოველთვის როდი იშოვნიდით თუნდაც ისეთ უბრალო რამეს, როგორიც ასანთი, ნავთი და საპონია. ავდარში სოფელი ტალახში იყო ჩაფლული. არ იყო გზა, არ იყო სინათლე...

ახლა ჰობისხევს ვეღარ იცნობ. ამ დიდ და კეთილმოწყობილ სოფელში სამასზე მეტი სახლი და ათასი მცხოვრებია. ქვიტკირის ახალი მკვიდრი ორსართულიანი სახლები ბაღ-ბოსტნების მწვანეშია ჩაფლული.

სოფელს აქვს თავისი საკოლმეურნეო კლუბი, რვაწლიანი სკოლა, ბიბლიოთეკა 5.000 წიგნით, ამბანო, ელექტროსამხერხაო, მაღაზია, რომლის საქონელბრუნვა თვეში 10.000 მანეთია, სასოფლო საფერშლო პუნქტი სამშობიარო განყოფილებით. ჰობისხევი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. ყოველ სახლთან მიყვანილია წყალი სოფლის საუკეთესო წყაროდან — წითელი წყაროდან.

როგორ წარიმართა ძმები მახარაშვილების ცხოვრება? რა შრომითს საქმიანობას ეწევიან კოლმეურნეობაში? როგორია მათი შემოსავალი და ოჯახების კეთილდღეობა?

უფროსმა ძმამ გიგო მახარაშვილმა თავისი ძალღონე მეცხვარეობას მოახმარა. ის სარქველია, და უკვე მრავალი წელია რაიონში საუკეთესო მეცხვარედ ითვლება. გიგოს ცხრა შვილი და ცხრამეტი შვილიშვილი ჰყავს. შეძლებულად ცხოვრობს. მარტო კოლმეურნეობიდან წელიწადში 2.000-მდე მანეთს იღებს. ამდენივე შემოსავალი აქვს თავისი საკარმიდამო ნაკვეთის ბაღიდან და პირადი ცხვრის ფარიდან.

მისმა ძმამ ანტონ მახარაშვილმა ვეტერინარული ტექნიკუმი დაამთავრა, ომის შემდეგ მშობლიურ მხარეში დაბრუნდა და ნაყოფიერად მუშაობს დვირის ვეტერინარულ პუნქტში, სადაც თავისი საქმის ჩინებულ სპეციალისტად ითვლება. სამი ვაჟიშვილი ჰყავს. უფროსი—ვახტანგი, სპეციალობით ელექტროტექნიკოსია, ამჟამად საბჭოთა არმიაში სამსახურს გადის. თვრამეტი წლის შალიკო პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და ხუროდ მუშაობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე. ანტონის უმცროსი შვილი დიმიტრი საშუალო სკოლაში სწავლობს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰობისხევის 500 მცხოვრებს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს. მათ შორის არიან პედაგოგები, უქიმები, ინჟინრები, მხატვრები, ეკონომისტები, აგრონომები.

მახარაშვილის უმცროსი ძმა — გრიგოლი უკვე 29 წელია კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადას ხელმძღვანელობს და განთქმულია როგორც ბოსტნეულის უხვი მოსავლის ოსტატი.


მეოთხე ძმა — ვლადიმერი მამაცთა სიკვდილით დაეცა დიდ სამამულო ომში 1943 წელს ჭერჩთან. მის ცოლს მარიამს ძმები მახარაშვილები დაეხმარნენ სამი შვილის აღზრდასა და ფეხზე დაყენებაში. ერთ-ერთი მათგანი — რეზო ამჟამად საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელმავალმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობს.

— შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ ჩვენი ოდესლაც ბნელი და მიყრუებული სოფლის ჰობისხევის მცხოვრებნი, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი ელგუჯა იოსების-ძე მახარაშვილი. — შარშან კოლმეურნეობის შემოსავალმა 73.000 მანეთს მიაღწია. ჰექტარზე მივიღეთ 150 ცენტნერი კარტოფილი და ბოსტნეული, ოცი ცენტნერი სიმინდი მარცვლად.

წლითიწლობით მტკიცდება, ფართოვდება და მექანიზებული ხდება სოფელ ჰობისხევის არტელის მეურნეობა. ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის ჩვენს შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობას და, რა თქმა უნდა, ჩვენს სახელოვან მშრომელებს — ძმებს გიგო, ანტონ და გრიგოლ მახარაშვილებს.

ს. კილაძე.

ფოტო ავტორისა.



დღეს ჰობისხევის მიდამოებში.



გულნარა ჯაფარიძე



პარიზის შთაბეჭდილებანი

პირა ფაღავა საკმაოდ ცნობილ მხატვრად ითვლება უცხოეთში და მისი ნამუშევრები ამჟამად საფრანგეთის მუზეუმებსა და გალერიებშიაც არის დაცული (მათ შორის ფერწერული ტილო „La citadelee ebIouci“ თანამედროვე მუზეუმის ექსპოზიციაში ყოფილა შესული, ხოლო ერთი ნამუშევარი ჟან ბუშეს გალერიაშია).

მაგრამ სჯობს მივუბრუნდეთ დღიურებს.

ეჭვნარევი მოლოდინით შევეყურებ პარიზის განაპირა უბანში მდებარე, თითქოსდა ხალხისაგან განზე გასულ პატარა მანსარდიან სახლს. მაგრამ მწვანე ბაღჩა, რომელიც ნაბიჯებს ქვეშ სწრაფად იღევა, მორიდებით გამოწვდილი გრძელთითებიანი ხელის მშვიდი შეხება და შემდეგ კი ფინჯანი ყავა სასადილოდ გამწესებულ მინიატურულ სამზარეულოში, მაწყნარებს და უბრალოებით მხიბლავს.

სადა, კეკლუცობას მოკლებულ და თითქმის „ასკეტური“ გარეგნობის ქალს ტანზე შნოიანად მორგებია კაბის სწორი ქვედატანი და სვიტერი, რომელიც ხაზს უსვამს მაღალწვივება და მხრებში პროფესიულად ოდნავ მოხრილი სხეულის ნატიფ მოყვანილობას.

სანდომიან სახეს თვალები ამშვენებს დაკვირვებული და თითქოს მფრთხალიც: იქნებ არ არის დარწმუნებული თავის თავში?

უკან გადავარცხნილ სწორ თმაზე ხელს ისვამს და მორცხვად ღიმება, რადგან ნამუშევრების ჩვენებას ვთხოვთ.

კედელზე კი უკვე ვხედავთ ნატურმორტს, რომელიც ფიროსმანსა და ქართულ ფრესკასაც მაგონებს — ეგეც შავი ფონით, გრძივ არეზე კომპოზიციის მწყობრი და მარტივი განლაგებით, ფერთა სიძუნწით, შინაგანი განწყობით და უბრალოებითაც.

მაგრამ ვერა ფაღავა ფრანგ მხატვართა მოწაფეა და „მოდერნის“ მიმდევარიც.

ურიცხვ სურათებიდან თითო-ოროლას არჩევს და შეფიქრიანებული, თითქოს სხვათაშორისად, აუჩქარებლივ გვიჩვენებს.

მხატვარი სიტყვაძვირია და ზედმეტი კითხვა-პასუხის თავიდან ასაცდენად პერსონალური გამოფენის კატალოგს გვაწვდის ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნის ჟაკ ლასენის წინასიტყვაობით.

აქედან ვიგებთ, რომ ვერა ფაღავა თბილისში დაბადებულა, საქართველოში, რომელიც მის მეხსიერებაში ბაღად წარმოსდგება ჰორიზონტზე მოთავსებული მაღალი შიშველი მთებით.

ვერა ფაღავას ბავშვობიდანვე ჰქონდა მისწრაფება ხატვისა და ძერწვისადმი, მაგრამ სპეციალური განათლება მხოლოდ საფრანგეთში მიუღია, სადაც ჯერ დეკორაციულ ხელოვნებათა სკოლაში შესულა 1923 წელს, შემდეგ კი გრავიურის ტექნიკის დაუფლების მიზნით ხელოვნებისა და რეკლამის სახელოსნოშიაც უვლია.

1930-იანი წლებიდან დროდადრო რასონის აკადემიაშიც დადიოდა, რომელსაც იმხანად პედაგოგები ბისიერი და ნიკოლაი ვაკერი ხელმძღვანელობდნენ.

პირველად სწორედ მათ მიაქციეს ყურადღება ნიჭიერ ქალს, მის გულმოდგინე მუშაობას ფერწერასა და ქანდაკებაში.

მიუხედავად ამისა, ვერა ფაღავა, რომელიც ხელოვნებას არ სახავდა უბრალო შემოსავლის წყაროდ, ჯერ კიდევ ნაკლებად სჯერდებოდა თავის მხატვრულ შესაძლებლობებს და გამოფენებზე მონაწილეობის მიღებასაც ნაკლებად ესწრაფოდა.

გადამწყვეტი როლი ჟან ბუშესთან შეხვედრას უთამაშნია, რომელმაც სჩანს, რწმენა განუმტკიცა მხატვარს და მას პირველი გამოფენაც მოუწყო საკუთარ გალერიაში.

ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1944 წელს. შემდეგ კი ვერა ფაღავას არა ერთი პერსონალური გამოფენა მოუწყვია (პარიზში, ბრიუსელში, ბერლინში, ვუპერტალში და სხვ.) და მონაწილე გამხდარა სხვადასხვა გამოფენისა („ზედამოუკიდებელთა“ და „მაისის“ სალონებში პარიზში, „თანამედროვე ფრანგული ხელოვნების გამოფენაზე“ — სტოკჰოლმში და აგრეთვე გამოფენებზე ბერლინში, დიუსელდორფში, ტურინში, რომში და სხვ.), რომლებზედაც ვერა ფაღავას ნამუშევრებს საუკეთესო შეფასებაც ხვდა.

როგორც ლასენი გადმოგვცემს, ვერა ფაღავა უპასუხოდ არის შერჩეული მუშაობას, პირდაპირ წმინდა ტილოზე (რომელსაც თურმე თვითონვე ამზადებს, როგორც სურათის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილსა და მისი კომპოზიციის დეტალს), რადგან ფუნჯით მხატვარი ყოველთვის იმას გამოსახავს, რასაც იმთავითვე გარკვევით შეიგრძნობს და წარმოიდგენს.

ამიტომაც მხატვარი იშვიათად იცვლის სურათის პირვანდელ სქემას და ამასთან, თუ ლასენს დავუჯერებთ, ახალგაზრდულად და რწმენით ჰქმნის „ჰკუის, თუ გნებავთ აბსტრაქციის, მაგრამ უცნაურად მთრთოლვარე და სიცოცხლით სავსე“ ნაწარმოებებს.

თითქმის ამით ამოიწურება ზემოაღნიშნულ კატალოგში ვერა ფაღავაზე მოწვდილი ბიოგრაფიული ცნობები. წინასიტყვაობის „თეორიული“ ნაწილი კი, რომელიც უშუალოდ მხატვრის შემოქმედების ანალიზს ეხება, საკმაოდ ბუნდოვანია და ბურუსზიული ხელოვნებათმცოდნეობისათვის ჩვეული აბსტრაქტული მსჯელობებით დატვირთული.

ამიტომ, ისევ პირად შთაბეჭდილებათა გამოთქმას დავჯერდებით მხატვრის სახელოსნოში აღმქმულის, განცდილისა თუ გაგონილის მიხედვით.

თუ მხატვრის მიერ ჩვენთვის სანახავად შერჩეულ მასალას და აქ უკვე ხსენებული კატალოგის რეპროდუქციებს დავაკვირდებით, უფლება გვექნება ვიფიქროთ, რომ ვერა ფაღავაზე ნაწილობრივ მაინც გავლენა უნდა მოეხდინა რანსონის აკადემიის პედაგოგს ვაკერს, — ლასენის თქმით, მეტად „ასკეტურსა და გრძნობებდაფარულ ადამიანს“. გამოსარიცხი არ არის, რომ „პრაქტიკულ რჩევა-დარიგებასთან“ ერთად იგი მოწაფეთა სულიერ ჩამოყალიბებაზედაც ზრუნავდა და მათში რელიგიურ ასკეტიზმსაც წარმატებით ნერგავდა.

ასეა თუ ისე, ვერა ფაღავას შემოქმედება რელიგიური თემატიკით გადატვირთულია და ზოგიერთი მისი ნამუშევრის სახელწოდებაც კი („ქრისტე გარდაცვლილთა სამყაროში“, „ქრისტეს ჯვარცმის იარაღები“, „ქრისტეს მიერ ციდან ანგელოზების ჩამოყრა“ და სხვ.), საკმაოდ უცნაურად ჟღერს კოსმოსის დამპყრობი თანამედროვე ადამიანისათვის.

ეს მდგომარეობა მით უფრო მაკვირვებს, რომ რელიგიით გატაცება არცთუ დიდად საგრძნობი უნდა იყოს თანამედროვე ფრანგულ მხატვრობაში (თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში რელიგიური თემატიკით გატაცებული მხოლოდ ერთი მხატვარი — ჟორჟ რუოლტი, — არის წარმოდგენილი), თუმცა ამჟამად არა მარტო გალერიები, პრესა და სახელმწიფო, ეკლესიაც კი აბსტრაქტული ხელოვნების დამცველად გამოდის და მას „მატერიალური სამყაროს“ უარყოფის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

მაგრამ გაკვირვება არ გამომიხატავს და სინანულიც არ ასახულა ჩემს სახეზე, ცნობისმოყვარეობას ვძლიე და... უფრო გულმოდგინედ ვუსმენდი მხატვარი ქალის ოდნავ დახშულ ხმას, ვაკეთებდი სამახსოვრო ჩანიშვნებს და ვათვალიერებდი ჩვენს თვალთა მზერად განკუთვნილ მხატვრულ ნამუშევრებს...

ფიქრებში წასულს თითქოს შორიდან ჩამესმის ნათქვამი იმის შესახებ, რომ 1958 წელს ბრიუსელის გამოფენაზე, რომელზედაც მხოლოდ სამ მხატვარ ქალს მიუღია მონაწილეობა (ფრანგ, შოტლანდიელს და ქართველს) ვერა ფაღავას ვატიკანის პაპის იოჰანეს XIII-ის ოქროს მედალი მიუღია ხეზე შესრულებულ ფრესკა-პანნოსთვის „ამაღლება“.

პარიზში დამზადებული ეს კომპოზიცია, სიდიდის გამო, ადგილზე აუწყვიათ ბრიუსელში, და მოდერნისტულად ნაგები ტაძრის შესასვლელს ზემოდან მოუთავსებიათ საგანგებოდ შემონახულ თვალსაჩინო არეზე.


რა სასიხარულო უნდა იყოს მხატვრის გამარჯვება, მაგრამ წინ მისწრებს გულისტკივილი:

ნუთუ სამშობლოდაკარგული, ქრისტეს მცნებაში ჰპოვებს თავშესაფარს?

ნუთუ ჯან-ღონითა და ნიჭით სავსე, იგი ნებით ემსახურება რელიგიას, რომელიც თავის ზრახვებს მოხერხებულად უფარდებს უიდეობის ჩიხში მოხვედრილ დასავლეთ ევროპის თანამედროვე ხელოვნებას?

ნუთუ შემთხვევითად მიიჩნევს, რომ ვატიკანი მხარს უჭერს და პრომპაგანდას უწევს ქრისტიანული რელიგიის მცნებისათვის ფაქტიურად უცხო მოდერნისტულ ხელოვნებას, რომ იგი გარს იკრებს ისეთ ხელოვათ, რომელთაც არმცთუ ნათლად არ ეხატებათ გზა მომავლისა, იმის განსჯაც უჭირთ, თუ რას უნდა შეალიონ ნიჭი და ოსტატობა!

(გაგრძელება იქნება).



სურათზე: პოეტი იოსებ ნონეშვილი და ლ. აბაშიძე (მარცხნივ), პარიზი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 6, 1966 წ.

ტურიზმი აფხაზეთში

1962 წლის შემდეგ, როცა შეიქმნა აფხაზეთის ტურიზმის საოლქო საბჭო, რესპუბლიკაში მასობრივად განვითარდა ტურიზმი. აი რა უთხრა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს ამ საბჭოს თავმჯდომარემ ხ. ტუზბა-ია:

— 1962 წელს აფხაზეთის ტურისტული ბაზები მოემსახურნენ 250.000-ზე მეტ ექსკურსანტს, შარშან კი მილიონზე მეტ მოგზაურობის მოყვარულთ, მათ შორის ათიათასობით უცხოელ სტუმარს. ტურისტულმა ბაზებმა მიიღეს ორმოცზე მეტი მეგობრობის მატარებელი, 30 საკრუიზო გემი და ოცი ავტომატარებელი.

საინტერესო მუშაობას ეწევიან ადგილობრივ მოსახლეობასთან საზოგადოებრივი ტურისტული კლუბები, რომლებიც რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა. შარშან ტურისტული კლუბების მიერ მოწყობილ ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობდა 29.000-ზე მეტი კაცი.

სამრეწველო საწარმოთა, სასწავლებელთა, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩვენმა კლუბებმა შექმნეს ტურიზმის სექციები.

ტურიზმის ენთუზიასტებმა გაითვალისწინეს მრავალი ტურისტის სურვილი, რომლებიც უკვე კარგად იცნობენ აფხაზეთის ტრადიციულ საექსკურსიო ობიექტებს, და წამოაყენეს წინადადება, რომ სოხუმის რაიონში შეიქმნას ახალი უნიკალური ტურისტული ობიექტი — ოკეანარიუმი. ასეთი კომპლექსური კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ყირიმისაგან განსხვავებით, შავი ზღვის კავკასიის მთელ სანაპიროზე არა გვაქვს არცერთი ზღვის მუზეუმი.

მისასალმებელია აგრეთვე „ანაკოპიის სასწაულის“ — ახალი აფონის მახლობლად მდებარე საოცარი სილამაზის გამოქვაბულისა და აფხაზეთის სხვა მიწისქვეშა სასახლეების ათვისება და კეთილმოწყობა, რაც უკვე დაიწყო.

დიდი პერსპექტივა აქვს ამტკელის ტბას, რომელსაც ყველა საფუძველი აქვს მეტოქეობა გაუწიოს საქვეყნოდ ცნობილ რიწის ტბას.

როგორც ჩვენი საბჭოს ხელმძღვანელობა, ისე ენთუზიასტები ეწევიან ტურიზმის აქტიურ პროპაგანდას.

მასობრივ ტურისტულ ღონისძიებებს შორის, რომლებსაც საბჭო ახორციელებს, უნდა აღინიშნოს ლაშქრობანი დიდი სამამულო ომის გზებზე, რომლებიც მოეწყო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავთან დაკავშირებით. წითელ მეკვლეთა ძალებით ქლუხორის უღელტეხილზე აღიმართა იმ საბჭოთა მეომრების ობელისკი, რომლებიც დაიღუპნენ კავკასიის მისასვლელებთან ბრძოლებში.

საყურადღებოა სოხუმის დრამატული თეატრის ტურისტული სექციის წევრთა ორიგინალური განზრახვა. მათ გადაწყვიტეს შოთა რუსთაველის 800 წლისთავი აღნიშნონ საიუბილეო ლაშქრობით ჩუმკუნბის მთის მწვერვალზე, სადაც დაიდგმება დიდი ქართველი პოეტის ბიუსტი.

ტურიზმის მასობრივი განვითარების დღე და პასუხისაგებ ამოცანებს წარმატებით ვასრულებთ. მალე აფხაზეთი გადაიქცევა ამ საინტერესო სახეობის დასვენების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად.

უნდა იკითხებოდეს

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ წინა ნომრის (№ 6, 1966 წ.) მე-2 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში „ახალი ცხოვრების მშენებელთა ყრილობა“ მე-3 სვეტის ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს „დელეგატები ერთსულოვნად იღებენ სკკპ XXIII ყრილობის განცხადებას ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო“.

ეს საინტერესოა

იოანე იტალის 97 ტრაქტატი

პირველად გამოდის ბერძნულ ენაზე იოანე იტალის თხზულებათა სრული კრებული. წიგნში, რომელსაც უშვებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“. შედის XI საუკუნის გამოჩენილი ბიზანტიელი ფილოსოფოს-ენციკლოპედისტის ჩვენამდე მოღწეული 97 ტრაქტატი. ტრაქტატები მიეძღვნა ფილოსოფიის, ლოგიკის, თეოლოგიის, გრამატიკის, ასტრონომიისა და სხვა საკითხებს.

იოანე იტალის ტრაქტატები დიდად საინტერესოა მეცნიერებისათვის. მათი ავტორი დიდხანს იყო კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის პროფესორად, რომელიც იმ პერიოდში მსოფლიო მეცნიერული აზრის ცენტრად ითვლებოდა. აქ სასწავლებლად ჩამოდიოდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ამ უნივერსიტეტში მიიღო განათლება ცნობილმა ქართველმა ფილოსოფოსმა და განმანათლებელმა იოანე პეტრიწმა, რომელიც პროფესორის უახლოესი მოწაფე იყო. იტალი გამოირჩეოდა დიდი ხელოვნებით დისპუტებში, შექმნა მოწაფეთა სკოლა და ატარებდა ფილოსოფოსთა იპატის (მეთაურის) საპატიო წოდებას.

წიგნში პირველად გამოქვეყნდა უზარმაზარი ხელნაწერი მასალა, რომელიც ინახებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კლასიკური ფილოლოგიის და ბიზანტოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლის გ. წერეთლის ფონდში.

ქართველმა მეცნიერმა ჯერ კიდევ 1898 წელს დაიწყო იტალის შრომების შესწავლა. ამ მიზნით იგი იყო ბერლინსა და მიუნხენში, პარიზსა და ვენაში, ლონდონსა და ოქსფორდში, რომსა და ვენეციაში. მკვლევარი გულმოდგინედ კრეფდა და იწერდა ბიზანტიელი ფილოსოფოსის გაფანტულ ხელნაწერებს. გ. წერეთელმა გამოსაცემად მოამზადა იტალის ზოგიერთი ნაწარმოები, ხოლო მეტი ნაწილისათვის დატოვა შავად ნაწერები წარწერილი ვარიანტებით, აგრეთვე შენიშვნებით ლათინურ ენაზე.

გამოცემის რედაქტორმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. კეჭაყმაძემ, ავტორმა მონოგრაფიისა „იოანე იტალი“, „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს უთხრა:

— იოანე იტალის თხზულებების გაცნობისას გაოცებს ფილოსოფოსის ნათელი აზროვნება, ცრურწმენისაგან თავისუფლება, წმინდა მეცნიერული მიდგომა გამოსაკვლევი საკითხებისადმი. იტალი არ იმოწმებს საღმრთო წიგნებს. მან ეჭვი შეიტანა ეკლესიის ავტორიტეტში, გააკრიტიკა ღვთისმეტყველების დებულებანი. საკვირველი არ არის, რომ ეკლესიამ „მწვალებლურად“ მიიჩნია გამოჩენილი ფილოსოფოსის მოძღვრება, ხოლო იტალი ბერად აღკვეთეს.

მეცნიერები დიდხანს იკვლევდნენ იოანე იტალის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის მნიშვნელობას. სულ ცოტა ხნის წინათ დავადგინეთ, რომ იმპერატორი ალექსი კომნენი იძულებული იყო დაეწყო პროცესი იოანე იტალის წინააღმდეგ იმპერიისათვის განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში. ეს ადასტურებს დიდ პოლიტიკურ როლს, რომელსაც ფილოსოფოსი ასრულებდა.

ბერძნული ტრაქტატების გარდა იოანე იტალის თხზულებათა გამოცემაში შეტანილია ბერძნული სიტყვებისა და წინადადებების მრავალი ვარიანტი, რომლებიც მდიდარ მასალას იძლევიან ბერძნული ენის მკვლევარისათვის.



ქართველი მოჯირითე.

ოთხი ტურის შემდეგ



ფეხბურთის სეზონი ძალაში შევიდა. გუნდების უმრავლესობამ უკვე ჩაატარა ოთხ-ოთხი მატჩი.

პირველი წარმატების შემდეგ თბილისის დინამოელები მიუხედავად უპირატესობისა დამარცხდნენ მოსკოვის „სპარტაკთან“ (0:1), ფრედ ითამაშეს (1:1) ცსკა-სთან და 3:1 მოუგეს ქუთაისის „ტორპედოს“. დინამოელთა პირველი წარმატება გვაფიქრებინებდა, რომ თბილისელები კარგ ფორმაში არიან. ასეც არის, მაგრამ გუნდს აკლია წამყვანი თოთამაშეები. მესხი და მეტრეველი მიწვეულია სსრ კავშირის ნაკრებში. გ. სიჭინავას, მარჯვენა გარემარბს ე. ხუციშვილს და მცველ გ. ცხოვრებოვს ტრავმა აქვთ მიღებული. დანაკლისი, როგორც ხედავთ, დიდია. 3 თამაშით დისკვალიფიცირებ უ ლ ი იყო გ. ბარქაია. ამ უკანასკნელმა უკვე მიიღო მონაწილეობა მატჩში ქუთაისელთა წინააღმდეგ და მისი დაბრუნება უკვე დაეტყო თავდასხმას. შემდეგი თამაში „დინამოს“ ოდესაში აქვს.

ოთხი მატჩი ჩაატარეს აგრეთვე ქუთაისელმა ტორპედოელებმა, მათ მხოლოდ მოსკოვის „ლოკომოტივს“ მოუგეს (3:1). თუმცა დამარცხება ისეთ კოლექტივებთან, როგორიც არის მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“ და თბილისის „დინამო“ თითქოს „კანონზომიერია“, რადგან ეს გუნდები გაცილებით მაღალი კლასისა არიან.

წლევანდელ ჩემპიონატში 19 გუნდი მონაწილეობს. ჯერჯერობით თბილისელები 5 ქულით მე-7 ადგილზე იმყოფებიან, ქუთაისელები კი — 2 ქულით მეთოთხმეტე ადგილზე.

საბჭოთა კალათბურთელები ჩილის კალათბურთის ფედერაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ. სანტ-იაგოში მსოფლიოს უძლიერესმა კალათბურთელებმა მოიყარეს თავი. აშშ, იუგოსლავია, ბრაზილია, ბულგარეთი და სხვ. ჩვენი კალათბურთელები, რომელთა რიგებში არიან საკანდელაძე და სხირტლი, ფინალში გავიდნენ, სადაც დაამარცხეს ჩილის, ესპანეთის, იუგოსლავიისა და არგენტინის გუნდები. გადამწყვეტი შეხვედრები წინ არის. მრისხანე მეტოქეები არიან ბრაზილიელები და ამერიკელები.

ადგილობრივი გაზეთები დიდ შეფასებას აძლევენ ზურაბ საკანდელაძის თამაშს, რომელიც რამდენიმე შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი იყო მოედანზე.

ო. ლორთქიფანიძე.

ექვთიმე თაყაიშვილს მიეძღვნა

მახარაძე. სოფელ ლიხაურის კულტურის სახლში გაიმართა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ამ სოფლის ყოფილი მკვიდრის, აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ექვთიმე თაყაიშვილის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებანი წაიკითხეს პროფესორებმა ვ. დონდუამ, ს. ყაუხჩიშვილმა, გ. ჩიტაიამ და სხვებმა. აკადემიკოსმა ა. შანიძემ სესიას გააცნო თავისი მოგონებანი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სოფელ ლიხაურის კულტურის სახლში გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ამსახველი მემორიალური ოთახი.

ეგეგ ცოცხალია!

1941 წლის აგვისტოში ჩვენი შვილი **ფარნაოზ (ნამცეცა) რომანის-ძე მჭედლიშვილი,** დაბადებული 1922 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშენში, მოხალისედ წავიდა სამამულო ომის ფრონტზე. მისი უკანასკნელი წერილი მივიღეთ ომავე წლის დეკემბერში, ფოთიდან. მას შემდეგ აღარავითარი ცნობა აღარ გვაქვს.

ომის დამთავრების შემდეგ „ნათქვამის ნათქვამებიდან“ ჩვენამდის მოაღწია ხმამ, რომ თითქოს ამერიკაში უნახავთ... სარწმუნო-კი არაფერი ვიცით. ამ წერილით გვინდა მივმართოთ ყველას, ამ გაზეთის მკითხველებს, იქნებ ვინმეს აქვს რაიმე ცნობა ჩვენი დაკარგული შვილის შესახებ.

იქნება თვითონ შენს ყურამდის მოაღწიოს ამ ჩვენმა ხმამ, შვილო! იქნებ თვითონ შენ წაიკითხო ჩვენი ამბავი. ჩვენ უკვე პენსიაზე ვართ, მარტონი დავრჩით. შენი ძმა თავისი ოჯახით — ორი შვილით და ცოლით თელავში დასახლდა. დები თბილისში დაბინავდნენ თავიანთი ქმრებით და შვილებით. ყველანი ბედნიერად იქნებოდნენ ეს დიდი დარდი რომ არ აწვეს ჩვენს ოჯახებს. ყოველ წელს იმედის და მოლოდინით სავსე თვალით ვუცქერით, შვილო! შენ გზას გამოვცქერით და მოგელით, გვაღირსე შენი ამბავი, ტანჯვით ნუ გაგვატარებინებ დარჩენილი სიცოცხლის დღეებს.

დედა მანანა,
მამა რომან მჭედლიშვილები.
ახმეტის რაიონი, სოფ. ზემო ხოდაშენი.

კომპანიონ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.